ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 19/10/92

ქ. თბილისი 26.09.2019 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო“ (ს/კ 405255165) (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინე ჯოჯუას სახით და მეორეს მხრივ, სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის დავით გიორგობიანის სახით საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) საგანია ქალაქ თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო“-ს (ს/კ 405255165) ბალანსზე რიცხული, 5 წლამდე წლოვანების, „Hyundai“-ის მარკის ავტომანქანებისათვის (დანართი N1) ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა პრეისკურანტით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და დანართი N2-ით გათვალისწინებული საქონლის და მომსახურების ერთეულის ღირებულების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და „ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების და ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო“-ს (ს/კ 405255165) 2019 წლის 25 სექტემბრის N№69.01192682 ბრძანების საფუძველზე.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **500.00 (ხუთასი)** ლარს, ხოლო პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს **5017.00 (ხუთიათას ჩვიდმეტი)** ლარს სათადარიგო ნაწილების მიწოდებასთან და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით (იმ პოზიციებზე, სადაც გრაფაში მითითებულია „-“ იგულისხმება, რომ აღნიშნულ პოზიციაზე შემსყიდველის მიერ საქონელი არ მოითხოვება, ხოლო სადაც მითითებულია „0“ - მომსახურება „უსასყიდლოა“).

2.3 კლასიფიკატორის კოდი: **50112000 - მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.**

2.4 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1 მომსახურების გაწევის ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის წერილობითი დავალების შესაბამისად.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი – ქალაქი თბილისი, დ. აღმაშენებლის მე-13 კმ. სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“-ს სერვის ცენტრი.

3.3 მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, პრეისკურანტში მომსახურების ან/და საქონლის რომელიმე პოზიციის არარსებობისას (მისი შესყიდვის აუცილებლობისას), ერთეულის ფასი დადგინდება შემსყიდველი ორგანიზაციის და მიმწოდებლის ერთობლივი შეთანხმებით, საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, პრეისკურანტში ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და საქონლის ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ობიექტის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.

3.4 მომსახურების გაწევის პროცესში, მიმწოდებლის ბრალეულობით ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში, ზიანის აღმოფხვრის ხარჯებს სრულად ანაზღაურებს მიმწოდებელი.

3.5 ავტომანქანის დაზიანებული ნაწილები უნდა შეიცვალოს ახალი სათადარიგო ნაწილებით და უნდა შეესაბამებოდეს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ მომსახურების პრეიკურანტში მითითებულ შესაბამისი საქონლის დასახელებას, მდგომარეობას და ფასს.

3.6 ავტოტრანსპორტის მომსახურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლისა და შემსყიდველის წარმომადგენლების მიერ თითეულ კონკრეტულ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტის შედგენის შემდეგ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო საქონლის (სათადარიგო ნაწილების) დეტალური აღწერა, ღირებულება, მომსახურებების დაწყების ვადა და შემსყიდველთან შეთანხმებული სხვა ინფორმაცია.

3.7 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების მიღება უნდა განხორციელდეს ურიგოდ.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და საგარანტიო პირობები

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდება რომ მიმწოდებლის მიერ არ არის სრულყოფილად გაწეული მომსახურება და/ან შეცვლილი ნაწილი აღმოჩნდა წუნდებული, დეფექტიანი ან/და ხარვეზიანი, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზი, წუნი, დეფექტი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან შეამოწმონ გაწეული მომსახურება ან/და მიწოდებული საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო"-ს (ს/კ 405255165) ლოჯისტიკის მენეჯერი.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო"-ს (ს/კ 405255165) დირექტორი და ლოჯისტიკის მენეჯერი.**

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2019 წლის ქალაქ თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის (გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის) შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ დაქვითულ იქნეს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

8.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში, შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს, მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ღირებულება

12.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

12.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.

12.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით, დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით, სადაც გაგზავნილი შეტყობინება/დაკვეთა ჩაითვლება ოფიციალურ დაკვეთად. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან ტელეფონით დაკვეთის შემთხვევაში მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 13.2 პუნქტში მითითებული მობილური და ქალაქის ტელეფონის ნომრები.

13.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტაქტო პირი ბ-ნ ირაკლი გვასალია, ტელეფონის ნომერი: 595 00 77 89, ელექტრონული ფოსტა: office@hyundai.ge

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: საკონტ. პირი: პირი: ბ-ნ გელა გელაშვილი, მობილური ტელეფონის ნომერი: 595-79-99-09; ელექტრონული ფოსტა: g.gelashvili@tbilisi.gov.ge

13.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

13.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

14.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. სხვა პირობები

15.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

15.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა/ ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

16. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო“
მის: ქალაქი თბილისი,
ჟ. შარტავას ქ. №7
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა № 07020402
ს/კოდი: 405255165

ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის
სააგენტო“-ს დირექტორი

ე.ჯოჯუა

მიმწოდებელი:

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“
მის: ქალაქი თბილისი,
დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.
სს „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE15TB1100000110467697
ს/კოდი: 204478948

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“-ს

პრეზიდენტი

დ. გიორგობიანი

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC

Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC
Date: 2019.09.26 15:55:34 +04'00'

დანართი N1

ავტომანქანების ჩამონათვალი

N	ავტომანქანა	სახ. №	გამოშვების წელი
1	ჰიუნდაი იონიკი	CG765CG	2018

დანართი N2

საქონლისა და მომსახურების პრეისკურანტი

Hyundai IONIQ 1.6				
№	ავტონაწილების/მომსახურების დასახელება	რაოდ.	ავტონაწილების ფასი	მომსახურების ფასი
1	საწვავის ფილტრი	1ც	95.00	50.00
2	ჰიბრიდული სისტემის გენერატორის ღვედი	1ც	125.00	70.00
3	ჰიბრიდული სისტემის გენერატორის ღვედის დამჭიმი	1ც	235.00	70.00
4	ჰიბრიდული ძრავის გადაბმულობის აქტუატორის სითხე	1ლ	25.00	50.00
5	საქარე მინის საწმენდი	1ც	45.00	5.00
6	ჰალოგენის ნათურა	1ც	55.00	10.00
7	წინა ფარის ნათურა	1ც	30.00	5.00
8	გაბარიტის ნათურა	1ც	8.00	5.00
9	წინა საყრდენი დისკო	1ც	255.00	20.00
10	უკანა საყრდენი დისკო	1ც	310.00	50.00
11	გადაბმულობის ქურო დისკით	კომპლექტი	1630.00	320.00
12	გადაბმულობის საკისარი	1ც	380.00	320.00
13	უკანა სტოპ ნათურა	1ც	17.00	5.00
14	სამუხრუჭე სითხე	1ლ	80.00	45
15	ანტიფრიზი	1ლ	17.00	25
16	ყინვაგამძლე სითხე	1ლ	17.00	0
17	კონდიციონერის ფრეონი	100 გრ	13.00	30.00
18	წინა სამუხრუჭე ხუნდები	კომპლექტი	275	15.00
19	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომპლექტი	200	15.00
20	ანთების სანთელი	1ც	21	5.00
21	ელექტრო მცველი	1ც	12	2.00
22	საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება	1ც	*	15.00
23	განშლა	ერთჯერადი	*	40.00
სულ პრეისკურანტი:			5017.00	

შემსყიდველი:

ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო“-ს დირექტორი

ე.ჯოჯუა

მიმწოდებელი:

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“-ს

პრეზიდენტი

დ. გიორგობიანი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.თბილისი 26 სექტემბერი, 2019 წელი

ქვემოთ ხელის მომწერი და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ვადასტურებ, რომ გამარტივებული შესყიდვის გზით, ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო"-ს (ს/კ 405255165) ბალანსზე რიცხული „Hyundai"-ის მარკის ავტომანქანისათვის ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერსთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის
სააგენტო"-ს (ს/კ 405255165)
დირექტორი

ეკატერინე ჯოჯუა

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.თბილისი 26 სექტემბერი, 2019 წელი

ქვემოთ ხელის მომწერი პირი ვადასტურებ, რომ გამარტივებული შესყიდვის გზით, ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო"-ს (ს/კ 405255165) ბალანსზე რიცხული „Hyundai"-ის მარკის ავტომანქანისათვის ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერსთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულები ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ზედამხედველი):

ა(ა)იპ „საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტო"-ს (ს/კ 405255165) ლოჯისტიკის მენეჯერი *გელა გელაშვილი*